

ახალი განთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2025 წელი 28 თებერვალი №2 (8213) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

გვ7. 2024 წლის პროექტები

გვ2. კასპის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის„ ფარგლებში: საერთო კრებები და კონსულტაციები

გვ2.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი

გვ3.

გვ3. რაც მავონდება...

გვ2. ცეცხლოვანი მოიდინა რევოლიცია

მომღერალი ოჯახები: გიგაურები (სოფელი ოკამი)

გვ4.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

გვ3.

ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენა

გვ2.

ციხონი - გუცოლი, ციხონი - მიმდინარე

ქალათბურთი

გვ6.

გვ6. საოცარი

ოფიციალური ქრონიკა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანგილარში 50 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა.

საბავშვო ბაღის შენობა ორი სოფლის — ფერმა - ჩანგილარის მცხოვრებ პატარებს მოემსახურება. დღემდე საბავშვო ბაღს დამოუკიდებელი შენობა არ ჰქონდა და ნაქირავებ ბინაში ფუნქციონირებდა.

შენობა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. გარდა ამისა, მოეწყო ეზო და ბავშვთა გასართობი სივრცე.

სოფელ ჩანგილარში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

საბავშვო ბაღის შენობის გახსნის ღონისძიებას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა და მხარის რწმუნებულმა პედაგოგებს, აღსაზრდელებს, მშობლებს მიულოცეს ახალ შენობაში გადასვლა და წარმატებული სასწავლო წელი უსურვეს.

როგორც მათ აღნიშნეს, მომავალ თაობაზე ზრუნვა და სათანადო პირობებში სკოლამდელი აღზრდის მიღება მათთვის მნიშვნელოვანია.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

ცოფილ თეძმისხევში

კასპის მუნიციპალიტეტის მეფისქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თეძმისხევში, მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი დაიწყო. მიმდინარე სამუშაოს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენის დაგება მიმდინარეობს.

პროექტი გარდამავალია, დაიწყო 2024 წელს და 2025 წელს სრულდება. პროექტი რეგიონის განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

მეორე მსოფლიო ომის 101 წლის ვეტერანი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გარიყულაში მცხოვრებ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს შალვა გოჩიტაშვილს 101 წელი შეუსრულდა.

იუბილარს, დაბადების დღე კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომდგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში, თადარიგის პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა, შიდა ქართლის სამმართველოს უფროსმა ზვიად საბაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიულოცეს.

ვეტერანი ომში 17 წლის ასაკში წავიდა, ომის დასრულების შემდეგ უკრაინის შავიზღვისპირეთს იცავდა და სამშობლოში 1947 წელს დაბრუნდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია შალვა გოჩიტაშვილს ულოცავს დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

კასპის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში: საერთო კრებები და კონსულტაციები

კასპის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში საერთო კრებები და კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს.

2025 წელს განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით შეხვედრები ამჯერად მეფისქალაქის, ახალციხის და წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გაიმართა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის პირველი მოადგილე დავით ქისიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ადმინისტრაციული ერთეულების 14 სოფლის მოსახლეობას შეხვდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრებზე ადგილობრივებთან ერთად განიხილეს ადგილზე არსებული პრობლემები. ადგილობრივებმა კი დასახელებული პრობლემებიდან პროგრამით განსახორციელებელ პროექტებად შეარჩიეს მათთვის პრიორიტეტული და ყველაზე მნიშვნელოვანი.

სეზონი - გასული, სეზონი - მიმდინარე

სპორტული სეზონი ერთიანი, უწყვეტი ციკლია. მას არ ახასიათებს კალენდარული შემოდგომა-ზამთრისა თუ გაზაფხულ-ზაფხულის არდადეგები, შესვენებები. ჩათავდება ერთი კალენდარული წელი და ზედვე ებმის მომდევნო.

გასული სპორტული წლის მთლიანი ციკლი წარმატებული გამოდგა ქართული სპორტისათვის. 2024-ის შთამბეჭდავი გამარჯვებებით მოგვრილი სიხარული და განცდილი შთაბეჭდილებები ჯერაც არ განელებიათ ჩვენი სპორტის სხვადასხვა სახეობათა ქომაგებსა და საყვარელი სპორტსმენების გულშემატკივრებს.

საინტერესოა, უთუოდ, ამ მხრივ რა ხდებოდა და რა ხდება ადგილობრივი სპორტის დღევანდელობის თვალსაზრისით, ანუ, კასპის მუნიციპალიტეტის ფარგლებში?

ქვემოთ გთავაზობთ შემაჯამებელი ხასიათის მიმოხილვას, რომელშიც კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი საუბრობს რიგ მომთავრებულ და მიმდინარე საკითხებზე, კერძოდ:

– შარშანდელ სპორტულ შედეგებზე,

– გაერთიანებაში შემომავალი სასწავლო-სავარჯიშო ჯგუფებისა და წრეების თაობაზე,

– სასპორტო ობიექტების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე ზამთრის პერიოდში,

– მუნიციპალური სპორტის სახელით მოასპარეზე გუნდებისა და სპორტსმენების მხარდაჭერაზე, წახალისებასა და დაფასებაზე,

– კასპში ჩატარებული და ჩასატარებელი სპორტული რესპუბლიკური დონის ტურნირებისა და პირველობების შესახებ,

– 2025 წლის სპორტული სეზონის გეგმებსა და მიზნებზე.

***

შოთა გოგიაშვილი – კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი (სამსახურს ხელმძღვანელობს 2013 წლიდან, მცირეოდენი წყვეტილობის ჩათვლით):

– სპორტში, როგორც წესი, ყველანაირი შედეგი, გამარჯვება და მიღწევა, ანარეკლია ამ მხრივ გაშლილი მუშაობისა. ყველაფერი აღინუსხება შედარებითი, ურთიერთშეჯერების ფორმით. აი ამ მხრივ შარშანდელი ჩვენი მუშაობა არა თუ მარტო ქმედითი იყო, არამედ შედარებით წარმატებულიც წინა წელთან შედარებით. ეს ითქმის ჩვენთან დანერგილი სპორტის ყველა სახეობის მიხედვით, რამეთუ სრული 100 პროცენტით დაფინანსდა რეგიონული თუ საქართველოს მასშტაბით მონაწილე ჩვენი გუნდები. აქედან გამომდინარე, ყველა დონეზე გვყავს ჩემპიონებიცა და პრიზიორებიც.

ქალაქადა თუ სოფლებში გახსნილი გვაქვს და მოქმედებს ჯგუფები და სექციები სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ჭადრაკი და შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ჭიდაობა (ქართული, ძიუდო, სამბო, თავისუფალი), კარატე და ტაეკვონდო, კიკბოქსინგი, ძალოსნობა (მკლავჭიდი და წოლჭიმი)...

მათგან ყველაზე პოპულარულად მოჩანს ფეხბურთის მიმართულება. საკმარისია ითქვას, რომ აღრიცხვაზეა 400-დან 500-მდე ნორჩი ფეხბურთელი (აქედან კასპში 350). სულ კი, ყველა სა-

დასასრული გვ8.

ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენა

ქალაქ კასპში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაო.

მიკრორაიონის დასახლებაში, მირიან მეფის ქუჩაზე მდებარე №1 და №2 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კვარტალურ ეზოებში მშენებელი კომპანია ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენის დაგების სამუშაოს ახორციელებს. სამუშაო პროცესს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მიკრორაიონის დასახლებაში მერიამ გასულ წელს აღადგინა არსებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, მიმდებარედ მოაწყო ბავშვთა გასართობი სივრცე, მანამდე კი გარემოხმარების ფიტნესტრენაჟორები, ასევე დასასვენებელი სკვერი საბავშვო ატრაქციონებით.

ახლა საგზაო ინფრასტრუქტურას ვაწესრიგებთ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი"!

გახდით ჩვენი მკითხველი!

სპორტული მოედნის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია დასრულდა. სპორტული მოედანი კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში მიმდებარედ ბავშვთა გასართობი სივრცე მოეწყო. აღნიშნულ ლოკაციაზე მერიის მიერ გარემოხმარების ფიტნესტრენაჟორებიც ფუნქციონირებს.

პროექტის დასრულებამ ადგილობრივებს აღნიშნული ინფრასტრუქტურით ერთ სივრცეში სარგებლობის შესაძლებლობა მისცა.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი

7 თებერვალს კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებამ (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) ტრადიციულად ორი ღირსშესანიშნავი თარიღი ერთ შეხვედრაში გააერთიანა: 1918 წლის 8 თებერვალს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას (დღეს თსუ) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 8 თებერვალს წმინდა კეთილმორწმუნე მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.

საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზმა (მენეჯერი მაია აბუაშვილი) უმასპინძლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მეფე დავითის სეხნიებს. ღონისძიება მოამზადა და მიჰყავდა გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორს ლიანა მენაბდიშვილს.

მოწვეული იყვნენ დავით კობაური, დავით ტატუნაშვილი, დავით მაჭარაშვილი, დავით ციხისთავი, დავით კეკელაშვილი, დავით ალექსიძე, დავით მერებაშვილი, დავით სუხაშვილი, დავით ქისიშვილი, დავით ბერიანიძე, დავით გურასპაშვილი, კასპის სკოლების მოსწავლეები: დავით ობგაიძე, დავით ჯაჭვაძე, დავით დავითური, დავით გოგიტიშვილი, დავით ბასილაშვილი, დავით კობახიძე, დავით გაროზაშვილი, დავით მირუაშვილი, დავით ყაზარაშვილი, დავით მულაძე ,დავით სუსუნიაშვილი, დავით უტარაშვილი, დავით მარქარაშვილი, დავით იაშვილი, დავით ალიმბარაშვილი. მოწვეულ სტუმრებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1918 წლის 8 თებერვალს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი. ამ მოვლენისადმი ჩვენ რაიონს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ივანე ჯავახიშვილის გამო.

უნივერსიტეტის მთავარი დამფუძნებელი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. თანადამფუძნებლები იყვნენ: კონსტანტინე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე და პეტრე მელიქიშვილი. პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მსოფლიო სახელის მქონე ქართველი ქიმიკოსი, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის წარდგენით, აირჩიეს უნივერსიტეტის პირველ რექტორად.

საქართველოს, რომლის საუკეთესო ტრადიციები განათლების სფეროში საყოველთაოდ იყო ცნობილი (ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა კოლხეთში (IV საუკუნე), გელათისა და იყალთოს აკადემიები (XII საუკუნე), სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრები პალესტინაში (V საუკუნე), სირიაში (VI საუკუნე), საბერძნეთში (X-XI საუკუნეები), ბულგარეთში (XI საუკუნე)), პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურებისა და ბოლოს

რუსეთის კოლონიად გადაქცევის შედეგად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღარ გააჩნდა ეროვნული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა ხალხმა გადადგა მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებამდე, სწორედ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა იყო. შემდგომ ბოლშევიკურ და კომუნისტურ პერიოდში, მიუხედავად თავსმოხვეული იდეოლოგიისა და მკაცრი ცენზურისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი მსახურება, აღზარდა ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩამოაყალიბა საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლები მათემატიკაში, ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში.

თსუ-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებლის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნას.

1917 წელს ცარიზმის დამარცხებამ და თებერვლის რევოლუციამ შესაძლებელი გახადა რუსეთის იმპერიაში არარუსულენოვანი უნივერსიტეტის დაარსება.

ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში დააარსა საინიციატივო ჯგუფი, ხოლო მაისის დასაწყისში ჩამოვიდა თბილისში, სადაც ჩამოიტანა უკვე მზა წესდება და დახმარებისთვის ექვთიმე თაყაიშვილს მიმართა. 12 მაისს ჯავახიშვილმა და თაყაიშვილმა გამართეს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.

ერთ ადამიანს ძალიან ბევრი შეუძლია. ივანე ჯავახიშვილის ისტორია აღნიშნულის თვალსაჩინო ნიმუშია.

რაც მაგონდება...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილის ნათელა ჯავახიშვილის (1908–1983) მოგონებები. დასაწყისში ავტორი წერს: “მამას გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ რუსუდან ნიკოლოზის ასულმა ნიკოლაძემ დამირეკა ტელეფონით და მითხრა – გირჩევ, ეხლავე დაიწყე ჩაწერა ყველაფრისა, რაც კი გახსოვს მამასთან დაკავშირებით, თორემ გაივლის დრო და ყველაფერი გაფერმკრთალდება, დაკარგავს მკაფიო მოხაზულობას და აღდგენა კი გააყალბებს და სიზუსტეს დაუკარგავსო”.

ამონარიდი ნათელა ჯავახიშვილის მოგონებიდან

მე მინდა, ჩემი მეხსიერებიდან ამოვკრიფო მამასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოგონება. ეს ძალიან მძიმე და ამაღელვებელი. არ იფიქროთ, ამის მიზეზი მივიწყებულის გაცხოველებაა. მამასთან დაკავშირებული მოგონებები განუყრელად თან მდევს და თუმცა ოცდახუთი წელია, რაც გაგვშორდა, გაგვშორდა დაუნდობლად, უეცრად, მე კი როგორც პირველ დღეებში, დღესაც იმავე სიმწვავით მოველი კარის შემოღებას, მისი შემოსვლით შემონათებულ შუქსა და სითბოს, მაგრამ ამაოდ... მძიმეა იმიტომ, რომ მისი დღეების გზა ეკლით მოფენილი გზა იყო, რომელიც მან თავდაუხრელად განვლო...

უმეტესად ადამიანში ორი არსებაა – ერთია საზოგადოებრივ სარბიელზე, მეორე – ოჯახში, პირად ცხოვრებაში. მამაჩემის არსებას “უკუღმა” მხარე ისეთივე ჰქონდა, როგორც “პირი”. ჩემი მეხსიერების მთელ მანძილზე მე მახსოვს მამა უაღრესად კეთილი, ალერსიანი, გულისხმიერი. ასეთად იგონებს მას ყველა, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია ოდესმე. მაგონდება, ერთხელ მოწაფეთა საღამოზე ვარლამ დონდუას, მაშინ იმ სკოლის მასწავლებელს, ჩემი თავი გააცნეს:

– როგორ, ბატონ ივანეს შვილები ჰყავსო? – დიდი გაოცებით წარმოთქვა მან.

მე მივხვდი, რომ ბატონ ვარლამს ვერ დაეკავშირებინა ივანე ჯავახიშვილთან ვერაფერი მიწიერი. დიახ, ბატონ ივანეს ჰყავდა შვილები და იგი უაღრესად ადამიანური მამა იყო. მამა, რომელსაც დედასთან ერთად ღამეები უტეხია ბავშვის საწოლთან, მამა, რომელსაც შესანიშნავად შეეძლო ბავშვის გაბანება, დაძინება. მამა, რომელსაც დიდი დატვირთვის მიუხედავად, ერთი წუთით არ მოუკლია ზრუნვა, სითბო, სიტკბო და დიდი გული.

დასასრული გვ-8.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

5 თებერვალს აღინიშნა “წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე”. ეს დღე 2010 წლიდან აღინიშნება და მას ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა უერთდება. მასში მონაწილეობას იღებს 31 მილიონამდე ადამიანი. ამ დღის მიზანია წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ხმამაღალი კითხვის სიხარულის განცდა. აქ ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან ერთი სლოგანის გარშემო ერთიანდებიან: “იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო”. საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის ინიციატორია წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია.

ამ წელსაც, ღონისძიებას შეუერთდნენ სკოლები, უნივერსიტეტები, საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები.

ტრადიციულად, ამ მნიშვნელოვან თარიღს აქტიურად შეუერთდა კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება (დირექტორი ეთერ ჩადუნელი).

“წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე” აღინიშნა მთავარი ბიბლიოთეკის (მენეჯერი ხათუნა ბახუაშვილი) საბავშვო განყოფილებაში.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კასპის №4 საჯარო სკოლის მე-3 კლასის (დამრიგებელი ნინო კობაური) მოსწავლეებმა. პატარა სტუმრებს გულთბილად უმასპინძლეს საბავშვო განყოფილების სპეციალისტებმა: ნათია ვანიშვილმა, მარინა შალუტაშვილმა, ლალი თათანაშვილმა, მანანა ხუბაშვილმა. მოსწავლეებმა აირჩიეს და წაიკითხეს მოთხრობები იაკობ გოგებაშვილის “საგანძურიდან”. საჯაროდ კითხვაში აქტიურად ჩაერთვნენ მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტები: დიანა ხორბალაძე, ციცინო ბერიანიძე, მარინა შალუტაშვილი, ხმამაღალი კითხვის მარათონში ჩაერთვნენ ამავე გაერთიანების სპეციალისტები: ლია სოზიაშვილი, ეკა კუსრაშვილი.

წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე პატარებს ესაუბრა ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი.

აქტიურ და მხიარულ პატარებს გულითადი მადლობა გადაუხადა მთავარი ბიბლიოთეკის მენე

დასასრული გვ5.

მომღერალი ოჯახები

მუსიკის ჰანგების ფერებით

ორიოდე წლის წინ, 2023 წლის 14 მაისს, კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში კასპელი მომღერალი ოჯახების მშვენიერი საკონცერტო საღამო ჩატარდა. პროგრამის წამყვანმა როცა გამოაცხადა, — სცენაზე ამჯერად კი გიგაურების ოჯახის მომღერალთა ჯგუფს ვიწვევთო სოფელ ოკმიდან, — მოწონების ნიშნად მაყურებლის ტაში გაისმა, მალე კი ჩაცხრა და დარბაზში გასაკვირი სიჩუმე გამეფდა, რადგანაც ყველა სცენაზე დარბაზიდან ასასვლელ რამდენიმესაფეხურიან კიბეს მიაჩერდა: ისინი, ერთი ოჯახის წევრები, საფეხურებზე ზედმეტი სიფრთხილით დგამდნენ ნაბიჯებს. წინ ვაჟიშვილი იდგა, მესამე იყო მისი მეუღლე და ორივეს შუაში ჩაეყენებინა ქალბატონი და მისთვის ხელკავი გამოედო შეშველების მიზნით, — ემანდ, საფეხურებზე არ წაბორძიკდესო. ბოლოში კი ათიოდე წლის გოგონა მიჰყვებოდათ და უფროსების შენელებული ტემპით მოძრაობას უწყობდა ნაბიჯს.

რაღაცნაირად გაურკვეველი მომენტი შეიქმნა სცენაზეც, როცა ქალბატონი დააყენეს ერთ-ერთი მიკროფონის წინ. სანამ მათი ხმატკბილი ნამღერი მაყურებელთა რიგებს გადასწვდებოდა, დარბაზის აქა-იქ კუთხეში რამდენიმე მსმენელმა გაკვირვებით იკითხა:

— ვინაა ეს ქალბატონი?

*** სულ ახლახან, წლევანდელი იანვრის მიწურულში, დაბადებიდან სამოცდამეჩვიდმეტე წელი შეუსრულდა სოფელ ოკმის სასოფლო კლუბის ამაგდარ ლოტბარს ციური გიგაურს. უკვე ათწლეულებია, რაც მშობლიურ სოფელში ქართული სიმღერისა და საგალობლების ჯადოსნურ მადლმოსილებას აზიარებს თანასოფლელ გოგო-ბიჭობას. თავდაპირველად, სრული თოთხმეტი წლის განმავლობაში, თურმე სრულიად უსასყიდლოდ გარჯილობდა. მისი გულის სიღრმიდან წამოსული კეთილშობილური სხივი დაინახეს და დააფასეს, მოუწონეს და მხარში დაუდგნენ. ის მრავალმხრივ გასაოცარი პროფესიონალია თავისი საყვარელი საქმისა, — ბავშვობიდანვე დაკარგული აქვს თვალის ჩინი და მის ირგვლივ არსებულ მზიან და ნათელ სამყაროს აღიქვამს მხოლოდ სმენადობით, სხვათა ნაუბარ-ხმიანობით...

გასაკვირველად გადამდებია მისი ამჟამინდელი საქმიანობის, ყოფის, შემგუებლობის, ამტანობის, შეძლების, ოჯახისქალობის, დედობის, მთლიანობაში, ცხოვრებისეული წესი და უნარ-ჩვევები.

სანუკვარ ბავშვობაში, ცხრა წლის ასაკში, თავდატეხილი უბედურების მიუხედავად, აკი ცხოვრებაში დარჩა ქალად, რომელსაც არ მოკლებია მზეოსნობა, ანუ არის ლაზათიანი, გერგილიანი, მარილიანი... ისევ შეუძლია, გამოთქმით წაგიკითხოთ დიდი ვაჟას გალექსილი, — მაშ, მე რაღა ვქნა უსხივომ, უსტარმა, უსინათლომა?..

მასში დღეს ორი ციური სულდგმულობს — პატარა და დიდი:

ახსოვს და ენატრება, გონებაში ელაციცება მას, ცუგრუმელა და ახტაჯანა გოგონას, რომელსაც უყვარდა სოფლის მწვანე ყანებში თამაში, ჩამალვა, — აბა, თუ მიპოვით, ვინ მომაგნებსო, განა არ ვგევარ ლამაზ ყვავილსო... ახლა რამდენი იყვნენ, ყველა ცელქი და მოუსვენარი, სულ ახლობლები, დედმამიშვილები, უბნელები, მეზობლები... ახსოვს ისიც, ერთმა ბიჭმა როგორ გამოიტანა პაპისეული საფანტით დატენილი თოფი და ყიჩნად გამოაცხადა, — მწყერზე სანადიროდ მივდივარო. მერე, ხელცარიელად მობრუნებულმა თანატოლებს როგორ მიუღერა ლულა, — გაიქეცით, ვისაც სირბილი არ შეგიძლიათ, გაფრინდით, ვითომ მწყრები ხართო!

მერე?.. მერე ცამ იქუხა და ჩამოიქცა ზესკნელი, სამყარო გახდა ქვესკნელი, მთლიანად გახდა შავი, შავზე შავი და დარჩა ასეთი: უფერო, უმზეური, უყვავილებო...

იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ ცაზე მზემ მეორე დილითვე მოიარა სოფლის სანახები, მაგრამ ყანაში ველარ მიაგნო გოგონა-მწყერს, მრავალჯერ აკრიფა თავისი სხივები, მაგრამ ველარასოდეს გაასხივოსნა პატარა ციური.

დიდის შესახებ, აბა, რა და როგორ გითხრათ. თვითონ ქალბატონი ციურის თაბახის ერთგვერდიან ჩანაწერს მოვიშველიებ. აი, მისი ცხოვრების სტრიქონთქმული:

— დავიბადე 1948 წლის 28 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ოკამში, სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდის, ვასილ გიგაურის ოჯახში. დედა ადრეულ ასაკში გარდამეცვალა და გამზარდეს ბიძამ და ბიცოლამ.

1957 წელს უბედური შემთხვევის გამო დავკარგე მხედველობა. ორი წლის შემდეგ შემიყვანეს ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. იქ შევისწავლე მუსიკა და სიმღერა.

სკოლა დავამთავრე 1968 წელს. იმავე წელს ჩავაბარე მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის №4 მუსიკალურ ტექნიკუმში.

1969 წელს პარალელურად ჩავაბარე ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრიადებით (ისტორიის ფაკულტეტზე). სტუდენტობის დროს აქტიურად ვმონაწილეობდი მუსიკალურ საღამოებში (ხელმძღვანელები იყვნენ ნ. ედილაშვილი და ჰ. ლოლაშვილი). გამოვსულვარ სპორტის საკავშირო სპარტაკიადებზე უსინათლოთა შორის.

1974 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და სამსახური დავიწყე თბილისის საქალაქო მუსიკალურ-საესტრადო გაერთიანებაში (სოლისტად). წლების განმავლობაში ვმღეროდი უსინათლოთა კაპელაში. მახსოვს ჩემთვის ამაგდარი ადამიანები: ა. მამაცაშვილი, ა. ოვანოვი, ბ. თბილელი, ზ. მჟავია, ნ. აბაშიძე...

1993 წლიდან სოფელ ოკამში ჩემი სურვილით სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლიდი (14 წლის განმავლობაში) ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს.

1979 წელს შემეძინა ტყუპი ვაჟი. საინტერესოა, რომ მათაც დაამთავრეს მუსიკალური სასწავლებელი და, თანაც, პარალელურად, იყვნენ მუსკომედიის თეატრის მომღერლები.

ჩემი პოპულარობისა რა მოგახსენოთ — 2011 წელს გოდერძი შარაშიამ გადამიღო "იმედის გმირებში". ასევე, ვმღერი გიორგი შენგელაიას მხატვრულ ფილმში "მიდიოდა მატარებელი".

უკვე 30 წელზე მეტია, დღემდე ვმუშაობ სოფელ ოკმის სასოფლო კლუბში ლოტბარად. ამიტომ არ შემიძლია, მადლიერება არ გამოვხატო ჩემი სოფლის, კასპის კულტურისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიმართ. აქტიურად ვმონაწილეობ ყველა ღონისძიებაში.

*** იოსებ გიგაური — კასპის მუნიციპალიტეტის მამაკაცთა ფოლკლორის ანსამბლის "მოურავის" წევრი (ციური გიგაურის ვაჟიშვილი):

— უკვე ათი წელია, "მოურავში" ვმღერივარ. ანსამბლში ჩემი გაწევრიანება ასე მოხდა: იმხანად ჩვენი ოჯახი კასპში მიიწვიეს საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. მთხოვეს, ცალკეც შემესრულებინა რომელიმე სიმღერა. დავთანხმდი და დიდი სიამოვნებით ვიმღერე "ღვინოვ, კახურო". ადგილობრივი კულტურის ხელმძღვანელებმა მოიწონეს ჩემეული ნამღერი. ისინი მანამდე ისედაც მიცნობდნენ, რადგანაც ჩემი მეუღლე, ია ზოდიაშვილი, სოფელში კულტურის სახლს ხელმძღვანელობს. ასე მოხდა ჩემი სცენაზე დადგომა (უკვე მეორედ, წლების შემდეგ). ასე შევემატე ანსამბლ "მოურავის" რიგებს, რომელსაც იმხანად ხელმძღვანელობდა ბატონი გივი ბახტაძე — მისი ჩამომყალიბებელი, სულისჩამდგმელი, მისთვის აკადემიური და პროფესიული სახის მიმცემი. მას შემდეგ ეს კოლექტივი ჩემთვის მეორე ოჯახად იქცა. ჩემთვის დიდად საამაყოა, რომ ამ ღირსეული მხატვრული კოლექტივის წევრი ვარ და მისი სახელით გამოვდივარ ადგილობრივ თუ საზღვარგარეთულ გასტროლებში, ფესტივალებში.

ისე კი, მომღერლობისადმი მიდრეკილება პატარაობიდანვე გამიჩნდა. ვაქტიურობდი სასკოლო ღონისძიებებში. უკვე მესამეკლასელი პირველად გამოვედი თბილისის "არტოს ბაღში" გამართულ კონცერტში. ასე, თერთმეტ-თორმეტი წლისა აღმოვჩნდი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლაში, სადაც ქართულ სიმღერებს გვასწავლიდა ბატონი ტარიელ ონაშვილი — ქართული მუსიკალურ-სასიმღერო ხელოვნების ამაგდარი ადამიანი, რომელსაც ამას წინათ 77 წელი შეუსრულდა. ამ ხუთწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ გადავედი სხვაში — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 მუსიკალურ ტექნიკუმში. ჩემი ხელმძღვანელი გახდა თენგიზ ნოზაძე. მან კლასიკური მუსიკის განხრით მომცა განათლება. მასთან მუშაობის პარალელურად გავხდი ვასო აბაშიძის სახელობის მუსკომედიის გუნდის წევრი. მის რიგებში ვირიცხებოდი 2004 წლამდე. ჩემთვის დიდი პატივი იყო ხელოვნების ისეთი დიდი კორიფეების, რეჟისორებისა და დირიჟორების გვერდით თანამშრომლობა, როგორიც იყვნენ: გიგა ლორთქიფანიძე, ბადრი ბეგალიშვილი, ავთო განუგრავა, ოთარ ბახტაძე, ზურაბ კახიანი.

სასცენო წარმოდგენებით არაერთხელ გამოვსულვარ დედაქალაქის საკონცერტო სცენებზე...

მშობლიურ სოფელ ოკამში იშვიათი იყო ისეთი საზეიმო ღონისძიება (საცხრამაისო იქნებოდა თუ საეკლესიო დღესასწაული), რომ ჩვენი ოჯახის წევრებს მონაწილეობა არ მიგვეღო. განსაკუთრებით დედა გამოირჩეოდა ხოლმე. საერთოდ, არა როგორც მხოლოდ შვილი, ადამიანურად მოხიბლული, აღფრთოვანებული და გაკვირვებულიც კი ვარ დედაჩემისეული შინაგანი მობილიზებით, შემართულობით, პროფესიული საქმიანობის ესოდენ ხანგრძლივი ერთგულებით, უღალატობით. მას, როგორც ლოტბარს, თანასოფლელი არაერთი ბავშვისთვის დაულოცავს გზა სასიმღერო სცენისაკენ. მისი ანსამბლის "იავნანას" ყოფილი წევრები სადღეისოდ ასაკოვანი ხალხია. რამდენიმე მათგანმა საყვარელ პედაგოგს ამაგი ათმაგად დაუფასა და სულაც პროფესიად გაიხადა მუსიკოსობა, მომღერლობა. მაგალითად, დღეისათვის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია ზურაბ შუკაკიძე. აი, მათე მეშველაშვილმა კი სწავლა გააგრძელა საესტრადო მუსიკის მიმართულებით, დავით არჩვაძის ხელმძღვანელობით. დედა ამჟამად აფრთიანებს ყოფილი მოსწავლეების შვილებს.

... ჩვენი ოჯახის წევრები რამდენჯერმე გამოვედით კასპის საქალაქო კულტურულ ღონისძიებებშიც. ასე იყო 2023 წლის მაისში, როცა სრული შემადგენლობით ვიმღერეთ კულტურის ცენტრის სცენაზე.

მაქვს პატივი, ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი წევრი გაგაცნოთ — ჩემი ტყუპისცალი ძმა, ვასილი: ორივეს პაპების სახელი გვქვია. მანაც იგივე სახელოვნებო გზა გაიარა, როგორც მე. ერთად ვიყავით მუსკომედიის თეატრშიც. ოღონდ, მოგვიანებით, მან სხვა გზა აირჩია და, ასე ვთქვათ, უღალატა, ჩამოშორდა სიმღერას. თუმცა, ახლა მისი ვაჟიშვილი მახარებს, ჩვენი ყოჩაღი გიორგი ფრიად მოწადინებული და დაინტერესებულია გიტარაზე დაკვრის ხელოვნებით. ახლახან იგი ოკამში იმყოფებოდა ბაბოს ოჯახში და მან და ჩემმა ბარბარემ (აი, მან, კასპში ჩვენთან ერთად რომ იმღერა) ისეთი მუსიკალური საღამო მოგვიწყვეს გიგაურების ჭერქვეშ, თქვენი მოწონებული!

მაშინ იყო, რომ გიორგიმ ბარბარეს ასეთი რამ უთხრა: — შენ თუ მომავალი პიანისტი ხარ, მე მომავალი გიტარისტიო!

— მე მჯერა მათი, მჯერა, რომ მათი ოცნება ახდება, — აი, ასეთი ოპტიმისტური განწყობით დაასრულა იოსებ გიგაურმა საუბარი.

ჩვენც დავიჯეროთ უფროსი და უმცროსი გიგაურებისა! ***დასასრული ვვ8.***

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

(დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-3.)

ჯერმა ხათუნა ბახუაშვილმა და მიმართა, რომ მათთვის ბიბლიოთეკის კარი ყოველთვის ღიაა, რომ აქ მომუშავე თითოეული სპეციალისტი დგას წიგნისა და წიგნიერების სადარაჯოზე.

ღონისძიების ბოლოს, ტრადიციულად, პატარა სტუმრებს ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სახელით გადაეცათ სიგელები. ამ დღით ბიბლიოთეკას ბევრი ახალი მკითხველი შეემატა.

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზმა ამ თარიღს კვირეული მიუძღვნა (2 თებერვალი – 7 თებერვლის ჩათვლით). ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკის ერთგულმა მკითხველებმა ხმამაღლა წაიკითხეს ამონარიდები სხვადასხვა ბეჭდური მასალებიდან და საყვარელი ნაწარმოებებიდან. ხმამაღალი კითხვის აქტივობით იყო გამორჩეული მოზარდი მკითხველი იოანე თეთრაძე, რომელმაც წაიკითხა ამონარიდები საკუთარი ნაწარმოებებიდან.

5 თებერვალს საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს შეუერთდა კასპის საქალაქო ბიბლიოთეკა (მენეჯერი მაია აბუაშვილი), მოაწყო გასვლითი ღონისძიება კასპის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის (გამგე თეა ქუტაშვილი) აღსაზრდელებთან. პატარებს საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მერი ბარჯაძემ წაუკითხა ზღაპარი "ნაცარქექია".

"იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო" – ამ დევიზით წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს დიდი ინტერესით შეუერთდა მეტეხის სასოფლო ბიბლიოთეკა. მეტეხის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ხმამაღლა წაიკითხეს სხვადასხვა ნაწარმოებები და ისაუბრეს მათთვის საყვარელი წიგნების შესახებ. ასე აღინიშნა 5 თებერვალი "წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე" კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებაში შემავალ ბიბლიოთეკებში. ეს დღე იყო შეხსენება, რომ კითხვა არა მარტო გართობის, არამედ განვითარების, შემეცნების, ცოდნის მიღებისა და სამყაროს უკეთ შეცნობის საშუალებაა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

ქაქუცას შეფიცულები კასპიდან

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯერი ლ. პეტრიაშვილი) ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღ. ნ. მერებაშვილი) მოსწავლეებმა პატივი მიაგეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე ჩვენი რაიონელების, ქაქუცას შეფიცულების ხსოვნას, რომლებიც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ.

ძველი ჰიმნით აჟღერებულ დარბაზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშით შემოვიდნენ მოსწავლეები: გიორგი და ლიზი ხუციშვილები, მარიამ ყაზარაშვილი, საბა წინამძღვრიშვილი, მარიამ კახიშვილი, ბარბარე ჩარაევი, ბარბარე ირემაშვილი, მარიამ ტალახაძე, ლუკა ქენქაძე, ნინო გაბოშვილი, ნატალი ნონიაშვილი
და თათა გელხაური. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოების წინაშე გააცოცხლეს 100 წლის წინანდელი საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელი. მხატვრულად წაიკითხეს ამონარიდები წიგნებიდან: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სოლომონ ზალდასტანიშვილის საქართველოს 1924 წლის ამბოხება, ილიას, კავალერიის პოლკოვნიკის გიორგი ხიმშიაშვილისა და ქაქუცას „შეფიცულების" რაზმის წევრის, მიხა ხელაშვილის ლექსები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 1921 წლის თებერვალი ჩვენი ერის ისტორიაში სისხლიანი ასოებით ჩაიწერა, როდესაც საქართველოში რუსეთის მე-11 არმია შემოიჭრა და საფრთხე შეუქმნა მის დამოუკიდებლობას. ქართველი ხალხი აღდგა სამშობლოს დასაცავად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიქმნა შეფიცულთა რაზმები, რომლებსაც სათავეში ედგა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, ღირსეული ჩამომავალი მე-17 საუკუნის სახალხო გმირის ბიძინა ჩოლოყაშვილისა.

ქაქუცამ ახალი წყობილების წინააღმდეგ შეადგინა რაზმი ,,საქართველოს შეფიცულები," რომელსაც ორგანიზაცია უნდა გაეკეთებინა პარტიზანული ბრძოლის დაწყებისათვის. ერთ-ერთი ასეთი რაზმი იყო შიდა ქართლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი რაიონის მკვიდრი, ქვემოხანდაკელი მიხეილ ლაშქარაშვილი. მასთან ერთად იბრძოდნენ შეფიცულები კასპიდან, რომელთა შორისაც იყვნენ: ლელო ჩიქოვანი, სიკო ალიმბარაშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები, ალექსანდრე კარგარეთელი ...

,,შეფიცულები" 1922-24 წლებში მამაცურად იბრძოდნენ წითელი ტერორის წინააღმდეგ, მაგრამ აჯანყება გასცეს და მარცხით დამთავრდა. საქართველოში მკაცრი რეპრესიები დაიწყო, რომელმაც ბევრი ადამიანი შეიწირა.

1924 წლის სექტემბრის დამდეგს, სოფლებიდან მოაგროვეს 25 კაცი აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით და ტირიფონას ველზე დახვრიტეს. მათ შორის იყვნენ ძმები, მღვდლები პეტრე და ანდრია კარბელაშვილები, ამილახვრები, ზაალიშვილები, პარკაძეები, პეტრე ჭელიძე, გიორგი უზნაძე (მღვდელი), ალექსანდრე მჭედლიშვილი და სხვა.

,,მრავალი ვაჟკაცი შეეწირა თავის სამშობლოს საქართველოს მსხვერპლად... მათი სახელი მქუხარებს და ზეობს სამშობლოსათვის... ისინი უკვდავნი არიან, საქართველოს არსებობამდის დაუვიწყარნი." (მიხა ხელაშვილი).

ღონისძიებაზე გაშვებულ იქნა ვიდეოჩანაწერი 1999 წლის ოქტომბერში, ტირიფონას ველზე, გადაღებული (მადლობას ვუხდით ავტორს ვანო ჯახუას). რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით იმ ადგილზე, სადაც დახვრიტეს უდანაშაულო ადამიანები, აგებულიყო 1924 წლის საქართველოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულთა მემორიალი (ესკიზის ავტორი, მხატვარი იორამ იმედაშვილი).

დახვრეტილი პეტრე ჭელიძის შვილიშვილმა (აწ გარდაცვლილმა) პროფესორმა პეტრე ჭელიძემ კასპელ კოლია პეტრუზოვს ქვაზე ამოაკვეთინა დახვრეტილთა გვარ-სახელები, რომელთა მოძიებაშიც მას დახმარება გაუწიეს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა. ფილა დაიდგა 2022 წელს.

რეპრესირებულთა საფლავზე ანდრია კარბელაშვილის შთამომავალმა გიორგი კარბელაშვილმა ააშენა ეკლესია.

ღონისძიება საქართველოს ჰიმნითა და ილიას ლექსით დასრულდა: ,,დაე, თუნდ მოვკვდე არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი..."

წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს ღონისძიებაში აქტიურობისათვის, გ. ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს გ. ჩადუნელსა და მის თანამშრომლებს თვალსაჩინოებითა და საჭირო ლიტერატურით დახმარებისათვის, მოსწავლეთა სახლის ხატვის წრის ხელმძღვანელს მარიამ თათრიშვილს ღონისძიების მხატვრულად გაფორმებისათვის, კასპის მუნიციპალიტეტის გაწვევისა და რეკრუტირების განყოფილების სერჟანტს გიორგი ბეგლარაშვილს ტექნიკური დახმარებისათვის.

ღონისძიება დადებითად შეაფასა დამსწრე საზოგადოებამ. სიტყვით გამოვიდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი ლია სოზიაშვილი, საზოგადოების წარმომადგენელი გიული სოზიაშვილი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი, მოსწავლეთა სახლის მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი კასპის მუნიციპალიტეტში, თადარიგის პოლკოვნიკი ლავრენტი ბაიდაური, მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგი გულო გიგაური, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, თამარ გაბოძე, საზოგადოების წარმომადგენლები. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა ტარდებოდეს სასწავლო დაწესებულებებში, რათა მომავალ თაობაში ამაღლდეს პატრიოტული გრძნობა და პატივისცემა წარსულისადმი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

გამოგვეხმაურეთ! გამოგვეხმაურეთ! გამოგვეხმაურეთ!

ძვირფასო მკითხველო, ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. ხშირ შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვანოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ თუ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით შეუცნობელი.

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია გადავცეთ ექსპერტებს. შესაბამისად გავეცნობით პროფესიონალთა კომენტარებს.

,,ხალხი განთიადი,, იძიებს ცხინვალისა ოსურ-ქართულ ურთიერთობის ცხოვრებისა ოთხოლო-მეცნიერულ. თხოვნით მიმართავთ თანამოაზრეებს - ოსეთიდან ყველა ჩვენს მეცნიერში! გამოგვიგზავნეთ ცხინვალისა ოთხოლები!

ჭიდაობა ძიუდო

ჩვენებურები — პარიზში

არა, ფეხბურთელ კვარაცხელიაზე კი არა, ძიუდოისტ ჩვენებურ ბიჭებზე მოგახსენებთ, თანასოფლელ ჯაბა პაპინაშვილსა და ირაკლი დემეტრაშვილზე, პარიზული ტატამი რომ მოსინჯეს ამათვის პირველივე დღეებში. ჰო, მხოლოდ მოსინჯეს, ორივე თელიანელი უმედლოდ დაგვირჩა. კარგია, რომ პაპინაშვილმა, სამწლიანი შესვენების შემდეგ ისევ მოიხედა ძიუდოსაკენ და 2024 წლის მიწურულში საქართველოს ჩემპიონობასაც მიწვდა. კარგია, რომ გაჩემპიონებიდან მალევე იჭიდავა საქართველოს ნაკრების სახელით 2025-ის საძიუდო სეზონის, ფაქტიურად, პირველ და პრესტიჟულ შეჯიბრებაში. თანაც, პარიზის დიდი სლემის ტურნირის ორდღიანი ორთაბრძოლები სწორედ მისი გამოსვლით დაიწყო (60 კილოგრამზე მჩატეები სხვებზე ადრე იწყებენ ასპარეზობას). მისდა და ჩვენდა სამწუხაროდ, მან პირველივე ჯახი წააგო იაპონელ სეკიმოტოსთან, მომავალ ფინალისტთან.

პარიზული ნაადრევი სათებერვლო ტურნირის მეორე დღეს გამოსვლები მძიმეწონოსნებმა დახურეს. აქ დემეტრაშვილის დებიუტი შედგა, მაგრამ მარცხიანი გამოდგა. სეზონის სტარტზე განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, ვიმედოვნებთ, რომ ორივე მოჭიდავის გვარს წლის განმავლობაში არაერთხელ გავიგონებთ სხვადასხვა შეჯიბრების ჩემპიონთა შორის.

ამაგდარი

გიორგი ბეინაშვილი -80



კასპის მუნიციპალიტეტის სპორტდაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ალექსანდრე ხუციშვილი) ჭიდაობის დარბაზში იანვრის ბოლოს ჩატარდა ვეტერანი მოჭიდავისა და ამაგდარი მწვრთნელის გიორგი ბეინაშვილის დაბადების 80-წლისთავისადმი მიძღვნილი მუნიციპალური ღია პირველობა ჭიდობა ძიუდოში (2011-12 და 2013-14 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის).

მონაწილეობდა 98 ნორჩი მოჭიდავე კასპიდანა და მისი სოფლებიდან, აგრეთვე, დაბა წყნეთიდან. ყველა წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორები დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით.

აღსანიშნავია, რომ იუბილარმა თავისი შეჯიბრების საყურებლად საგანგებოდ მოიწვია ...ევროდამკვირვებელთა ერთი ჯგუფის წევრები. ისინი კარგად იცნობენ და მეგობრობენ გიორგი ბეინაშვილთან, რომელიც კონფლიქტის საზღვრისპირა სოფელ ლამისყანაში ცხოვრობს.

მათ მიპატიჟება მიიღეს და არა თუ ქართველი მეგობრის შეჯიბრებას დაესწრნენ, აქტიურადაც ჩაერთვნენ მის მსვლელობაში. კერძოდ, რამდენიმე წონის გოგობიჭები დააჯილდოვეს კიდეც.

კალათბურთი

გასაოცარი

იანვრის სპორტული გამოშვების გვერდში ამ, მართლაც, საოცარი გუნდის შესახებ საუბარი იმით დავამთავრეთ, რომ საქართველოს 2024-25 წლების თასის გათამაშების მერვედფინალური ორრაუნდიანი დაპირისპირების პირველ შეხვედრაში კასპში 22 იანვარს "გრიფინმა" ამავე პრიზის შარშანდელ მფლობელ კლუბს – თსუ-ს შტილის სტილში მოუგო: 102:98.

მაშინ ეს ამბავი სენსაციად მოინათლა და, მართლაც, ჰგავდა დაუჯერებელს.

რა მოხდა განმეორებით შეხვედრაში, 27 იანვარს? – რა და რევანში შედგა: თბილისურმა სტუდენტურმა კლუბმა საბურთალოზე, სპორტის ახალი სასახლის დარბაზში შიდაქართლელებს ნამდვილი შტორმი დაატეხა თავს და 107:77-ზე გამარჯვებით დაადასტურა თავისი კლასი! ანუ, კასპურ დაუჯერებელ ამბავს თბილისურმა დამაჯერებელმა აჯობა...

ამის შემდეგ "გრიფინი" ისევ რეგულარული პირველობის რელსებზე გადაერთო, სადაც ორი გამარჯვება უკვე ჰქონდა და ახლა მესამე სჭირდებოდა ჰაერივით, რადგანაც გათამაშების ცხრილში მეორე პოზიცია ეკავა. მესამეში გამარჯვებით რეპუტაციასაც აღიდგენდა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე უსიამო მარცხის გამო და რეაბილიტირების შესანიშნავი შანსიც ეძლეოდა, კვლავ ერწმუნა საკუთარი ძალებისა.

ჰოდა, 31 იანვარს შინ დაუხვდა კახეთის შუაგული ქალაქის – თელავის "ბურჯს." აი, აქ უნდა გამოჩენილიყო, კახური ციხე-სიმაგრე როგორი ქვა-კირით იყო ნაგები!

ჰოდა, 31 იანვარს გმირობის ტოლფასი მატჩი, ყველაზე საოცარი, ჩაატარა "გრიფინმა" და მესამე გამარჯვება (სამიდან!) გაინაღდა: 102:94. დიახ, კასპის კლუბის გამარჯვება სპეციალისტების მხრიდან ამჯერად შეფასდა როგორც საოცრება.

გასაოცარი იყო, სხვანაირი როგორ ითქმის, როცა მესამე პერიოდში მეტოქეს 20 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ არ გატყდა კულმინაციურ მომენტში.

ჰოი, იღბალო და საოცრებავ, იმავე პერიოდში წინაც გავიდა და, საბოლოოდ, სასურველი ანგარიში შეინარჩუნა.

სხვათა შორის, მესამე ტურის საშინაო მატჩი ლიდერმა "რუსთავმაც" შინ იოლად მოიგო და ცხრილში ამით ცვლილება არ მოხდა: 6-6 ქულით პოზიციები შეინარჩუნეს.

სტატუსკვო შენარჩუნდა მეოთხე ტურის თამაშების შემდეგაც: 7 თებერვალს "გრიფინმა" თბილისის სპორტის სასახლეში "სოხუმი-საქართველოს" წინაამდეგ კიდევ ერთხელ შემოატრიალა მატჩის მსვლელობის ჩარხი და მეოთხე გამარჯვებას მიაღწია – 99:84; აი, "რუსთავმა" კი წინა დღით საკუთარ დარბაზში სძლია "ვერას" – 90:77.

პირველობის ოთხი ტურის შემდეგ "რუსთავის" ლიდერობა მოულოდნელი არ იყო. მიმდინარე სეზონამდე იგი სუპერლიგაში 34-ჯერ გამოდიოდა და შარშანდელი წარუმატებლობის გამო დაქვეითდა ერთი დონით.

მოტივაცია ა ლიგის 6 გუნდში თუ ვინმეს გააჩნია, უპირველესად, მას!

"გრიფინს", განა, არაა? – ის დებიუტანტის სახელით გამოჩნდა, ყველასათვის უცნობი ხილია, გამოუცნობი და ეგზოტიკური.

საქართველოს მეცემენტეთა ორი ქალაქის კლუბების ცილაობა შუა თებერვალში დასრულდა, პირველი წრის ბოლო მატჩით.

14 თებერვალს ისინი კასპის კალათბურთის დარბაზში დადგნენ ერთმანეთის პირისპირ:

კასპელ მეცემენტეთა ქალაქის გუნდმა კარგად დაიწყო და პირველი პერიოდი 13-ქულიანი სხვაობით მოიგო. რუსთაველ მეცემენტეთა ქალაქის წარმომადგენლებმა მეორე პერიოდში რადიკალურად განსხვავებული თამაში მოახვიეს მასპინძლებს, ახლა მათ იმარჯვეს 15 ქულით და მატჩის პირველი ტაიმი მოიგეს.

ასევე, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა მეორე ტაიმი. საწყისი 10-წუთეული ისევ სტუმართა შეტევებით გასრულდა, აი, ბოლო პერიოდში კი მასპინძლებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და სულაც 40 ქულას მოუყარეს თავი, საბოლოოდ კი 100-ქულიან ნიშნულს გადაამეტეს – 104:93 – ასეთი ანგარიში დაფიქსირდა საქართველოს რეგულარული პირველობის "ა" ლიგის გათამაშების პირველი წრის ლიდერებს შორის.

ამდენად, პირველი წრე "გრიფინმა" მოიგო 10 ქულით (5-დან ამდენივე გამარჯვება). "რუსთავმა", რომელიც მანამდე წინ იყო, მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა 9 ქულით. ასეა, პირველი ბრძოლა მოგებულია. წინ კი სამომავლო ბრძოლაა, უკვე მარტის ბოლოსათვის.

სპორტ-ინფო — 25

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა . . .

ჭადრაკი

მემორიალური

ამ დღეებში გავიხსენეთ კასპელი ერთი კაი ყმა, ჭადრაკის დიდი მოყვარული და მოტრფიალე, საქალაქო და რაიონული პირველობების არაერთგზის მონაწილე და პრიზიორი ვალერიან (ვალიკო) აღაპიშვილი (6.02.1955 – 28. 08. 2018). მისი დაბადებიდან 70-ე წლისთავს მიეძღვნა მორიგი, ტრადიციული, მეხუთე მემორიალი – მუნიციპალური პირველობა ჭადრაკში მამაკაცთა შორის.

მემორიალის გამარჯვებული გახდა გამოცდილი მოჭადრაკე და გაერთიანების მწვრთნელი მამუკა ზაქარაშვილი. მან წაუგებლად იასპარეზა. საჭადრაკო დაფებზე თეთრ-შავების არმიების ჭიდილში 8 მეტოქესთან 7 ქულა მოაგროვა (6 მოგება, 2 ფრე). მან ფავორიტის პრესტიჟი დაიცვა. წლევანდელი ჩემპიონობა მისთვის მესამეა.

ყველაზე მეტი გამარჯვება (7) და, შესაბამისად, იმდენივე ქულა აღმოაჩნდა ტურნირის მეორეადგილოსანს – ვატო აღაპიშვილს, ტურნირის ადრესატის ვაჟიშვილს, მაგრამ მან ერთადერთი პარტია სწორედ ჩემპიონთან დათმო. ამდენად, პირველი-მეორე ადგილის ბედი მათი ურთიერთშეხვედრის შედეგმა გადაწყვიტა.

მესამე ადგილი დაიკავა მიხეილ მაკეივიჩმა (6,5 ქულა) – მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრმა და გაერთიანების მწვრთნელმა ... კალათბურთში.

მეგობრის და კოლეგის ხსოვნისადმი მიძღნილ ტურნირში მონაწილეობდნენ. ასევე: ლევან ქვრივიშვილი, თამაზ ჯლანტიაშვილი, ვალერი უზნაძე, ნუგზარ მენაბდიშვილი, რამაზ გიგილაშვილი და ლევან გეჯაძე.

ჭიდაობა სამბო

ჩვენი პრიზიორები

ქ. თბილისში იანვრის ბოლო დღეს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი კადეტ, ჭაბუკ და ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის (ვაჟები და გოგონები).

ვიცე-ჩემპიონობას უწია ლუკა მღებრიშვილმა. მან ფინალური ორთაბრძოლა წააგო ვანელ მეტოქესთან და ვერცხლის მედალი მიიღო (58 კგ-ის კატეგორიაში). გიგა ჭიხინაშვილი მესამე იყო (აქ პირველი იყო თბილისელი, ვისთანაც დამარცხდა კასპელი). ჭაბუკთა შორის გვყავს კიდევ ერთი მესამე პრიზიორი – ლუკა გულდედავა, ხოლო ახალგაზრდებიდან – ორი: თიკო ბეგლარაშვილი და დავით ნინიკაშვილი.

ჩვენი გაერთიანების წარგზავნილებს შეეძლოთ თუ არა უკეთ გამოსვლა?

– თავად განსაჯეთ, თუკი მოვიშველიებთ პირველობის საერთო შედეგს: საუკეთესოდ გამოვიდნენ ვანელი ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებმაც 4 ოქრო მოინადავლეს, თბილისელებმა – 3, ქუთაისელებმა და ხობელებმა – 2-2, ხოლო 1-1 მედალი კიდევ 7-მა. აი, კასპელებმა კი ვერც ერთი ოქრო!

2024 წლის პროექტები

გაგრძელება დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №1 (8212).

● საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა, ტექნიკის შეძენა.

ნარჩენების მართვის მიზნით მიმდინარეობს მომსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც ყოველწლიურად საჭირო ტექნიკის შეძენა ხორციელდება.

● ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეძენილია:

1. 1 ერთეული მრავალფუნქციური, ბორბლიანი ექსკავატორ - დამტვირთველი გრეიდერი, რომლის საჭიროების აუცილებლობა მუნიციპალიტეტში არსებობდა (გვაქვს მაღალმთიანი სოფლები, უხვი ნალექის დროს იკეტება გზები).

2. 1 ერთეული ავტომანქანა ამწეკალათით.

3. 2 ერთეული ნარჩენმზიდი.

4. 110 ცალი ლითონის 1100-ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერი. საყოფაცხოვრებო ნარჩენი გადის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან. თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა გავუფრთხილდეთ გარემოს და პატივი ვცეთ თითოეული მეეზოვის შრომას. ჯერჯერობით ზოგიერთ სოფელში ნარჩენების გატანა ძველი არასტანდარტული ა/მანქანებით ხორციელდება. ამიტომ ნარჩენმზიდი ავტომანქანების დანარჩენ შემკრები კონტეინერების შეძენას მერია კვლავაც აგრძელებს.

● სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია. ანუ აღსაზრდელების, პედაგოგების და მომსახურე პერსონალისთვის თანამედროვე სტანდარტული პირობების შექმნა. საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტში 8 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და ერთის რეაბილიტაცია დაიგეგმა.

დასრულდა: სოფელ ქვემო გომის, სოფელ ოკამის და სოფელ ფერმის საბავშვო ბაღების მშენებლობა.

სამუშაოები მიმდინარეობს: სოფელ თვალადის, სოფელ მეფისქალაქის 1, სოფელ მეტეხის, სოფელ ახალციხის და სოფელ ლამისყანის საბავშვო ბაღებში.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ თეზის საბავშვო ბაღს, რომელიც სრულიად განახლდა და თანამედროვე სტანდარტისაა.

ახალი ბაღების მშენებლობის სახელშეკრულებო ღირებულება 16 070 585 ლარია.

მუნიციპალიტეტის 28 საბავშვო ბაღი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მისაღებად გადის ავტორიზაციის პროცესს.

● განათლება, საჯარო სკოლები, მუნიციპალური პროგრამა

სოფელ მეფისქალაქის საჯარო სკოლას ევროსტანდარტების შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა (2 600 000 ლარი).

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სოფელ იგოეთლეების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და მაგისტრების წახალისება.

● მერიის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ოქროს და ვერცხლის-მედალოსნებისთვის და 100% გრანტის მფლობელებისთვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 1 000 ლარის ოდენობით.

6 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულ "კასპობაზე" 100% გრანტის მფლობელ 3 და 41 წარჩინებულ კურსდამთავრებულს გადაეცა აღნიშნული ჯილდო.

წლებია მაღალქულიანი სტუდენტებისა და მაგისტრებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულია აფხაზეთის ომში დაღუპული, კასპის ყოფილი გამგებლის პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობითი სტიპენდია. პირველი სემესტრის მონაცემებით სტიპენდია 9 სტუდენტს დაენიშნა.

კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების საგენტოს და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით, მათ შორის კასპის, შიდა ქართლის რეგიონის ინოვაციების ბანაკში 13 კასპელი ახალგაზრდა ისვენებდა ბაკურიანში (5 დღე), რაც ერთგვარი სტიმულია ახალგაზრდებისთვის.

● დასასვენებელი სკვერები წლის განმავლობაში მოეწყო: კასპში ლესელიძე-სააკაძის ქუჩების მიმდებარედ, სოფელ ქვემო გომში, სოფელ ბარნაბიანთკარში, სოფელ კაპრაშიანში, სოფელ სარიბარში.

სოფელ დოესში კი სკვერის რეაბილიტაცია განხორციელდა.

● ბავშვთა გასართობი სივრცე

მოეწყო 6 გასართობი სივრცე: 2 კასპში - (მირიან მეფის და ჭონქაძის ქუჩებზე.), 4 - სოფელში: პანტიანი, აღაიანი, მეფისქალაქი და თვალადი.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

რაც მახსოვს ...

დასასრული დასაწყისი იხ. გვ-3.

რასაკვირველია, მამასთან დაკავშირებული მოგონებები იმ წუთიდან იწყება, რა წუთიდანაც შეიძლება, ბავშვის გონებამ გარემო სამყარო შეიცნოს და დაიხსომოს. ჩემი ბავშვობის პირველი მოგონებები მშობლებთანაა დაკავშირებული. საერთოდ, ეს კანონზომიერია, მაგრამ ჩემთვის მით უფრო ბუნებრივი იყო, რადგან მე პეტერბურგში დავიბადე. იქ მამა, დედა და მე 1915 წლამდე მარტოები ვცხოვრობდით.

პირველი სურათი — ჩვენი პატარა ოთხოთახიანი კოხტა ბინა. ალბათ, სადილის შემდეგ, სხედან დედა და მამა, მე მამის კალთაში ვზივარ, უფრო — მუხლებზე და მამა მახტუნავებს... "აჩუ, აჩუ ცხენო"... ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ვატყობ, იღლება, სახე შეუწითლდა. ამის ძალიან მეშინია და ვჩერებ. ვიცი, რაც მოსდევს ამას: მამა ტკბილად მეტყვის: აბა, ჩემი ყელი მომე, ყელი. — კისერს გადავუწევ და მამა ყელში მკოცნის, ულვაშები მიღუტუნებს, მე ვკისკისებ... მერე მამა მიამბობს მშვენიერ ზღაპრებს ამირანზე და კამარ ქეთუზე... მამა ძალიან ბევრს მუშაობს თავის პატარა კაბინეტში, ან უნივერსიტეტშია. ვიცი, მუშაობის დროს ხელი არ უნდა შევუშალო, მაგრამ საღამო ისე არ გავა, რომ არ მეთამაშოს.

ბუნდოვნად მახსოვს ბიძაჩემი დათა, რომელიც იმ ხანად ჩვენთან ცხოვრობდა. იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე ვსხდებოდით ერთად, ქართული ანბანიანი კუბიკები მქონდა და ის ჩუმჩუმად მასწავლიდა ანბანს. ერთად ვადგენდით სიტყვებს — ერთ, ორ და სამმარცვლიანს. ასეთი "საინტერესო" თამაში დიდხანს არ გრძელდებოდა, რადგან მამა არ აძლევდა ნებას — ადრეა და გადაიტვირთებაო. ჩემთვის კი ამაზე საინტერესო წუთები არ არსებობდა. ამის გარდა, მასწავლიდა ხოლმე ქართულ სიმღერებს...

მახსოვს, ხშირად მოდიოდნენ მამასთან იოსებ და დავით ყიფშიძეები, აკაკი შანიძე, იოსებ ანთაძე, ნინო ლომოური. მე ძალიან მიყვარდა მათი შეკრებები, თუმცა, რასაკვირველია, მათი საუბრის შინაარსი ჩემთვის გაუგებარი იყო.

მამას დაწესებული ჰქონდა, რომ მერე აუცილებლად უნდა გამასპინძლებოდა და მაშინ მეც ვიღებდი მონაწილეობას. გარდა გარკვეული დღეებისა, ყოველ დღესასწაულზე "სტუდენტები", როგორც ვუწოდებდით მათ, აუცილებლად ჩვენთან იყვნენ ხოლმე.

ვიცოდი, რომ მათ ქართულად უნდა ესაუბრათ და თუკი ვინმე წამოიწყებდა რუსულად ლაპარაკს, მე ვამბობდი:

— ქართულად, ბატონებო, ქართულად! როგორც შემდეგ მივხვდი, ეს შეკრებები ქართული სამეცნიერო წრის სემინარები იყო და ამიტომაც იყო აუცილებელი ქართულად მეტყველება, შემდეგ — "უნივერსიტეტი საქართველოში" — ხშირად გაისმოდა ამგვარი სიტყვები. კვირაში ერთხელ სტუმრად მივდიოდით ნიკო მარის ოჯახში.

წელიწადში ორჯერ მოვდიოდით თბილისში. კარგად მახსოვს, რა სიხარული იყო პეტერბურგის სიმარტოვით თავმობეზრებული მთელი ჩვენი ოჯახისათვის საქართველოში წამოსვლის დროის მოახლოება. უკანასკნელ წუთამდე მამას სულ საქმეები ჰქონდა ხოლმე და ყოველთვის ბოლო წუთებში მივდიოდით სადგურში. დედა ღელავდა, რომ დაგვაგვიანდებოდა. ბარგი ყოველთვის ბევრი გვქონდა, რადგან მარტო მამის წიგნები და სამუშაო 2-3 დაწნული (ჩემოდნის მსგავსი) კალათით მიგვქონდა ხოლმე, ამიტომ სადგურზე ყოველთვის გვაცილებდნენ იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და ელენე ჩიჯავაძე (ბიძაჩემ დათას საცოლე, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ჩვენთან ცხოვრობდა. ცნობილი ბაქტერიოლოგი).

თბილისში ჩამოსვლისას დედაჩემის დედის, ნინო ნიკოლოზის ასულ ორბელიანის სახლში ვცხოვრობდით. ზაფხულობით აქედნ სოფელში მივდიოდით: ან მამისეულ ხოვლეში, ან პაპიდისა — ატენსა თუ ლამისყანაში.

ლამისყანაში ჩემი დეიდაშვილებიც (კიტა აბაშიძის ოჯახი) ჩამოდიოდნენ. მამა უმეტესად ან თბილისში რჩებოდა, ან მიდი-მოდიოდა. ზაფხულშიც არ მახსოვს, რომ დაესვენა. თბილისში ჩადიოდა სხვადასხვა საზოგადოების სხდომებზე. კითხულობდა საჯარო ლექციებსა და მოხსენებებს. ხოვლეში ადრიანად უკვე მაგიდას უჯდა და მუშაობდა, ხან ცხენით ახლო-მახლო მიდამოებში დადიოდა. ჩვენ კი აივნიდან გავყურებდით გზას, როდის გამოჩნდებოდა მამა თავისი თეთრი ქუდით, რომელიც არაბეთში მოგზაურობის შემდეგ ჰქონდა შემონახული და ზაფხულობით ხმარობდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების გაერთიანება

სეზონი - გასული, სეზონი - მიმდინარე

დასასრული. დასაწყისი გვ2.

-ხეობის ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია 900=950 აღსაზრდელი, რომელთა ასაკია 5-6 წლიდან 16 წლის ჩათვლით. აქვე აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს: ყველა ასაკობრივ ჯგუფში მეცადინეობა უფასოა.

2024 წლის განმავლობაში ჩვენს დარბაზებსა და მოედნებზე ჩატარდა რამდენიმე რესპუბლიკური დონის პირველობა, წარსულში ცნობილი სპორტსმენების სახელობითი თუ გარდაცვლილი პიროვნებების მემორიალი, რომლებიც გათვალიწინებულია სხვადასხვა ფედერაციის კალენდარული წლიური გეგმებით. შიდა პირველობათა და სასოფლო სპორტული აქტივობების ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანდა.

სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურულ გამართულობაზე საუბარი და სათქმელი ზედმეტი იქნებოდა, რომ არა სათანადო პირობების შექმნა ჯერ სავარჯიშო გარემოს შესაქმნელად და მერე, მით უმეტეს, მიღწევებსა და სათანადო შედეგებზე:

— კასპის ცენტრალური სტადიონის მინიმოედანზე სრულად განახლდა ხელოვნური მწვანე საფარი (რაზეც 64.000 ლარზე მეტი დაიხარჯა), საფეხბურთო სკოლის შენობაში გაიმართა გათბობის სისტემა, განახლდა გასახდელები, შეიცვალა კარებები;

— კასპის საკალათბურთო დარბაზში შერემონტდა სავარჯიშო-სათამაშო იატაკი, გასახდელები, შეძენილია ახალი ფარები (თვითონ კალათბურთის ფედერაციამ კასპში საჩუქრად ჩამოგვიტანა ელექტროტაბლო);

— ფიტნესკლუბში, სადაც ძალოსნები ვარჯიშობენ, შეიცვალა იატაკის საფარი, დაწნეხილი ხეპანელით დაიფარა კედლები, განახლდა გასახდელები და მთლიანი ელექტროსისტემა. სველი წერტილი; — საჭიდაო დარბაზში განახლებითი სამუშაოები ჩაატარა შპს "მათე — 2014"-ის ჯგუფმა (დირექტორი გაგა ლაბაძე, შემსრულებელი ხელოსნები ლევან ლაბაძე და გიორგი კაპანაძე), კერძოდ: შეილესა, შეიფითხა და შეიღება კედლები ღია ფერის ტონალობაში, მოეწყო იატაკის საფარი ძალისმიერ სავარჯიშო კუთხეში.

საერთო ორგანიზაციული მხარდაჭერის თაობაზეც გვეთქმის თავმოსაწონი: ადგილებზე სათანადო პირობების შექმნა ხომ თავისთავადი, სასურველი და მიღწეულია, აი, გარეთ გასვლითი ღონისძიებების მხრივ ჩართულობაც გარანტირებულია: ყველა საშეჯიბრო გუნდი და ნაკრები თუ ინდივიდუალური სპორტსმენი უზრუნველყოფილია ტრანსპორტირების, კვებისა და ღამისთევის ხარჯებით. უკვე მიმდინარე წლის დასაწყისში ყველა სასპორტო ჯგუფის წევრებისათვის შეძენილია სავარჯიშო ინვენტარი და საშეჯიბრო სპორტული ფორმა.

დასასრულ, მადლიერებით უნდა აღინიშნოს თანადგომისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვან გარემოებაზეც. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათანადო დადგენილებითა და, შესაბამისად, მერიის თანადგომით, საქართველოსა და ევროპა-მსოფლიოს პირველობათა გამარჯვებულები და პრიზიორები, ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ჯილდოვდებიან მისადაგი ოდენობის ფულადი ჯილდოებით. თანაც, ჯილდოვდებიან მათი პირადი მწვრთნელებიც. წლევანდელი იანვრის დასაწყისში ჩვენი ძიუდოს რაიონის ნაკრების გუნდმა საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრება გაიარა სამთო კურორტ ბაკურიანში (სხვათა შორის, იქ ამ თებერვალში ჩატარდა ევროპის ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიადა — ესეც ქართული სპორტის საერთაშორისო აღიარების მაგალითი).

დაბოლოს, როგორია ჩვენი მუშობის პროგრამა 2025 წლისათვის? — შედგენილია სამოქმედო კალენდარული გეგმები ყველა სახეობაში. ჰოდა, წელსაც ველოდებით სასურველ უკუგებას, ანუ, შედარებით უკეთეს შედეგებს, ვიდრე შარშან გვქონდა.

მუსიკის ჰანგების ფრთებით

დასასრული. დასაწყისი გვ4.

*** საკუთარ პერსონას რომ გვაცნობდა გიგაურების ოჯახის კიდევ ერთი წევრი (ოკმელების, ასევე, ხელოვანი რძალი), სასოფლო კლუბის გამგე ია ზოდიაშვილი, ბოლოს სათქმელი მანაც უმცროსებზე გადაიტანა, რაკი უფროსთა კეთილი მაგალითი გადამდებია მომავალი თაობებისათვის: — დმანისელი ვარ. იქ, სოფელ დიდ დმანისში, დავამთავრე საჯარო სკოლა. 2003-07 წლებში ვისწავლე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. თითქმის ხუთი წელი ვასწავლიდი მშობლიური სოფლის სკოლაში მუსიკას. დაოჯახების გამო მომიხდა საცხოვრებელი და სამსახურის ადგილის გამოცვლა. ოკმელი გიგაურების რძალი გავხდი. აქაც დიდი ენთუზიაზმით დავიწყე და დღემდე ასე ვმუშაობ სოფლის კლუბში. მიხარია, რომ ოკმელები სიმღერას აღმერთებენ.

მყავს მეუღლე და სამი ქალიშვილი: ბარბარე, ნინო და თამარი. როგორც წესი, ოჯახში ყველა უფროსი ვმღერით. არაა გასაკვირი, რომ დებიდან უფროსსაც გაუჩნდა სიმღერის სურვილი. ოჯახის ხელშეწყობით შევიყვანეთ ქ. კასპის მუსიკალურ სკოლაში. უკვე მისი ღონისძიებების აქტიური მონაწილეა (ხელმძღვანელი — შორენა შეშაბერიძე). იგი კარგად უთავსებს ერთმანეთს სოფლის სკოლასა და კასპის მუსიკალურ სკოლაში სწავლას. აი, 2024 წელს ბარბარე გიგაური გახდა იქაური ერთ-ერთი მუსიკალური სახელობითი კონკურსის გამარჯვებული. ეტრფის სპორტსაც და უკვე სამი წელია, იგი კასპის სპორტგაერთიანების კალათბურთის გოგონათა ჯგუფის წევრია.

ჩვენი ოჯახის ყველაზე პატარა წარმომადგენელი, ოთხი წლის თამარი, უკვე თავისუფლად გრძნობს თავს სიმღერის დროს. ის ჯერჯერობით სოფლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელია.

ლიანა ოდიშვილი თანაუგრძნობს მაია და ეკა აკობიებს დედის ნორა ნერგაძის და მამის ჯემალ აკობიას გარდაცვალების გამო.

ნანა მერებაშვილი თანაუგრძნობს გულნაზი, გივი და აკაკი მერებაშვილებს ონისე გელაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შპს „კოლორ პრესში"

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76